FIRA AER Association Européenne Rugby

რაგბი

საქართველო

რუსეთი

ევროპის ერთა თასი

შაბათი, 4 თებერვალი, 2006 წელი
თბილისი, ეროვნული სტადიონი
დასაწყისი სამ საათზე

რაგბის ქომაგის დღიური საკითხავი

www.rugby.ge

European Nations Cup

Championnat Europeen des Nations

2005/06 წლების „ერთა თასი“

საქ	4–1	+145
რუმ	4–1	+141
პორ	4–1	+38
ჩეხ	3–4	–56
რუს	2–4	+71
უკრ	0–6	–339

წინ, მსოფლიო თასისკენ!

გრძელი და ურთულესი წელი ელით საქართველოს ბორჯღალოსნებს: სეზონს რუსეთთან, ერთა თასის მეორე წრის საშინაო მატჩით ვხსნით, სავარაუდოდ კი გაგანია ნოემბერში შინვე, გადამწყვეტ შესარჩევში ვუმასპინძლებთ პორტუგალიას და 2007 წლის სექტემ–ბერში, საფრანგეთში დანიშნული მსოფლიო თასის საგზურს მოვიპოვებთ. ვიდრე ეს მოხდე–ბოდეს, ჩვენს ბიჭებს ცხრა მატჩის გამართვა მოუწევთ. ასე რომ, ეს წიგნაკი მეგზურად გამოადგებათ დიდი რაგბის ქომაგებს.

პირველი წრე

2004

20/11	რუსეთი – საქართველო	15:27
	უკრაინა – პორტუგალია	6:36
27/11	ჩეხეთი – რუმინეთი	14:38

2005

5/02	პორტუგალია – საქართველო	18:14
26/02	საქართველო – უკრაინა	65: 0
	რუმინეთი – რუსეთი	33:10
	პორტუგალია – ჩეხეთი	19:13
12/03	საქართველო – რუმინეთი	20:13
	ჩეხეთი – უკრაინა	42: 5
19/03	რუმინეთი – უკრაინა	97: 0
	ჩეხეთი – რუსეთი	11: 7
4/06	რუსეთი – პორტუგალია	16:18
11/06	რუმინეთი – პორტუგალია	14:10
	რუსეთი – უკრაინა	72: 0
12/06	საქართველო – ჩეხეთი	75:10

მეორე წრე

2005

5/11	უკრაინა – ჩეხეთი	(8რ) 8:46
12/11	რუსეთი – ჩეხეთი	(9რ) 52:12

2006

4/02	საქართველო – რუსეთი	(6რ)
25/02	რუმინეთი – საქართველო	(8რ)
	პორტუგალია – რუსეთი	(8რ)
11/03	საქართველო – პორტუგალია	(9რ)
	რუმინეთი – ჩეხეთი	(6რ)
18/03	ჩეხეთი – საქართველო	(10რ)
	პორტუგალია – რუმინეთი	(10რ)
29/04	უკრაინა – საქართველო	(7რ)
13/05	პორტუგალია – უკრაინა	(6რ)
20/05	ჩეხეთი – პორტუგალია	(7რ)
27/05	უკრაინა – რუსეთი	(10რ)
03/06	უკრაინა – რუმინეთი	(9რ)
10/06	რუსეთი – რუმინეთი	(7რ)

მოდიან და დავუხვდეთ!

ეს უკვე მერამდენედ, საბურთაოდ ჩამოდიან რუსი მუჟიკები ქვეყანაში, რომელიც მათი თვისტომი პოლიტიკანების ავი ზნისა და უარეს ზრახვათა გამო, რაგბამდე ერთი კვირით ადრე უ-გაზ-დენ-ოდ კინალამ გაიყინა.

ჩვენებურ კაცს ჩრდილო მეზობელთან ამდენი თამაშით სათვალავიც კი აერეოდა, მაგრამ საქმეც ეგაა, რომ რაგბი ქართველი ფანისთვის რიგითი სპორტი აღარაა. ჰოდა, ამაყად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ეს მორიგი რკენა საიუბილეო, მეათეა და ბორჯღალოსანთა პირველი გამარჯვებიდან არა-სრულ ათ წლისთავზე ეწყობა.

იმას, რაც რუტინად იქცევა, სიმძაფრე და ეშხი მოაკლდება ხოლმე. რაგბში ქართველთა და რუსთა გაჯიბრებაზე მაგას ვერ იტყვი. მართალია, ამ, აწ უკვე ტრადიციულ ჯახში წაგებულისთვის ულვაშა სოსოს ჩიბუხი ანტი-პრიზად ჯერ არ დაუწესებიათ იმათ, ვისი ჯერიც არს, მაგრამ უმაგისოდაც უშეღავათო თამაში გველის, რაღაი სხვაგვარად ვერც იქნება.

წელი რომ ახალი დაწყებულია, მატჩი ორივე გუნდისთვის პირველია. ერთა თასი ზამთარგაზაფხულის შესაყარზე რომ ეწყობა, მაგით ჩვენ დიდი უპირატესობა გვაქვს. საქმე ისაა, რომ ბორჯღალოსანთა ბირთვი საფრანგეთის პირველობაზე რაგბობს და საბრძოლო ფორმაშია, მაშინ როცა მუჟიკები არდადეგებზე ბრძანდებიან და ვარჯიშსპარინგებით უწევთ მატჩისთვის მზადება.

რუსებმა ორ-კვირიანი შეკრება სამხრეთ აფრიკაში გამართეს. ამ ქვეყანასთან სლავურ რაგბს ბევრი რამ აკავშირებს. საბჭოთა ხანაში ორჯერ, 1987 და 1991 წლებში, ნაკრები ორჯერ მხოლოდ იმიტომ დარჩა მსოფლიო თასს მიღმა, რომ სპორტკომიტეტმა დემაგოგიურად ბრძანა, არ დავეკონტაქტებით იმათ, ვისაც კი ოდესმე რასისტულ რეჟიმთან შეხება ჰქონიათ.

მერე იყო და XXI საუკუნის დამდეგს, როცა სამხრეთი აფრიკა უეცრად მეგობარი ქვეყანა გახდა, იქაური ჯეიმზ სტოფბერხი ციმბირში საწვრთნელად ჩავიდა და თან ოთხი ბური შეგირდიც იახლა, მაგრამ რუსებს ეშმაკი შეუჩნდათ და უცხოელები ბინადრობის სამ-წლიანი ცენზის გასრულებამდე ნაკრებშიც დაასაქმეს.

ამაზე ჩვენა და სხვებმაც ვიჩივლეთ, მაგრამ მსოფლიოში რაგბის გამგებელმა IRB-მა მაშინღა გამოიფხიკა ყური, როცა რუსეთმა გაასაღა ევროპული

ამრ-ის ირბ-ელი დესპანის მშობლიური ესპანეთი. აგორდა ბაბუშკა-გეითი და იმპერიაში დაბადებულ ბებიათა ვერ-მყოლი ბურების გადამკიდე რუსეთი 2003 წლის მსოფლიო თასის შერჩევიდან მოიხსნა.

მუჟიკებმა კი ჭკუა მაინც ვერ ისწავლეს: ახალ გურუდ მორიგი მოხვიხვინე ბური, იოჰანეს ხერ-ხარდუს (მოკლედ, „ბლიკის“) ხრუნვალდი დანიშ-ნეს. ამას თანაშემწედ უდგას ენისეელი სანია „ჩელ-იუსწ“ პერვუხინი, ვინც შარშანწინ ავტო-ავარიაში რომ მოყვა, ნაკრების საჭესთან შეცვალა ლეგენ-დარულმა საბჭოთა მორაგბემ, იგორ მირონოვმა და ერთა თასის პირველ წრეში, უკრაინის გარდა, ვე-რავისთან მოიგო.

ბლიკისი შარშან რუსულ შვიდკაცასთან მუშა-ობდა, ახლა კი მან სუპერ-ლიგის ექვსი კლუბის 30 მოთამაშე ორი კვირით ჰაიფელდტის ზეგანზე წა-ასხა, ანუ მინუს 35 გრადუსიდან პლუს 35-ში ჩაიყ-ვანა ბიჭები და იქ ვარჯიშით არაქათი გააცალა.

სტუმრები პანტა-პუნტით დაიმტვრნენ და სპა-რინგებიც ბარაქიანი ანგარიშებით წააგეს რასობ-რივად ჭრელ, არა-ელიტარულ გუნდებთან, მაგ-რამ ეტყობა მაინც ეგრე მიაჩნიათ, რომ სან-სითის კაზინოებში გართობა ჯობს კრასნოდარის მხარის სტანიცაში ქაფქაფა რძის ხვრეპას.

ნაკრების გარდა, ბოლო წელიწად-ნახევარში რუსეთის რაგბის კავშირის უფროსობაშიც მოხდა ცვლილებები. მოსკოვმა ძალაუფლება ჩამოართვა ციმბირის ცენტრ კრასნოიარსკს, რომელიც ათი წელი პარპაშებდა.

კავშირის ახალი პრეზიდენტი კომკავშირელ-ყოფილი, აწ კი მარიფათიანი ბიზნესმენი ვიაჩეს-ლავ კოპიოვია. მისი ამალის გარჯით ექვს-გუნდა სუპერ-ლიგას მოსახელე სპონსორად ნემიროვის არაყი დაუდგა. ფედერალური სპორტული ტელე-ვიზიით საშინაო მატჩების გადაცემაც გაჩაღდა, მაგ-რამ საქართველოსგან განსხვავებით, პოსტ-კომუ-ნისტურ რუსეთში ოვალურ-ბურთა თამაში მაინც ერთ, უჩინარ სპორტად რჩება.

დასასრულ, ისევ ნაკრებს დავუბრუნდეთ. გუნ-დში აღარ არიან საფრანგეთში მოთამაშე ღვაწ-ლმოსილი ვეტერანები: სერგეი სერგეიჩ სერგეევი, ვიაჩესლავ გრაჩოვი, ყაზახი მარატ ვამბაევ-ულანბაევი და კონსტანტინ რაჩკოვი. ქვეყნის ბო-ლო ჩემპიონი ენისეი კია, მაგრამ ვიცე-ჩემპიონს, მონინოს ვე-ვე-ას (გაგარინის სახელობის სამხედ-რო საჰაერო აკადემია) დამწყებ 15-ეულში მაინც უფრო მეტი წევრი ჰყავს.

რუსეთი

შარშან, 12 ნოემბერს
ჩეხეთის წინააღმდეგ

ბეკები

15 იგორ კლიუჩნიკოვი (ვე ვე ა)
11 პაველ ნოვიკოვი (ენისეი)
14 ანდრეი კუზინი (ვე ვე ა)
13 ალექსანდრ კორობეინიკოვი (ენისეი)
12 სერგეი ტრიშინი (ვე ვე ა)
10 იური კუშნარიოვი (ვე ვე ა)
9 ალექსანდრ შაკიროვი (ენისეი)

ფორვარდები

1 ალექსანდრ ხროკინი (ვე ვე ა)
2 რომან რომაკი (ენისეი)
3 ივან პრიშჩეპენკო (ენისეი)
4 ალექსანდრ რეჩნიოვი (ენისეი)
5 ალექსანდრ ვოიტოვი (ვე ვე ა)
6 კირილ კუშნარიოვი (ვე ვე ა)
7 ანდრეი გარბუზოვი (კრასნი იარი)
8 ალექსეი პანასენკო (ვე ვე ა)

მარქაფა

16 სერგეი ნოვოსიოლოვი (ენისეი)
17 სერგეი პოპოვი (სლავა)
18 ვლადისლავ კორშუნოვი (ვე ვე ა)
19 ანდრეი ბიკანოვი (სლავა)
20 არტიომ ფატახოვი (ენისეი)
21 დენის აკულოვი (ენისეი)
22 ალექსანდრ გვოზდოვსკი (კრასნი იარი)

www.geocities.com/
Ragbis_Akido/Maradi/Soviet_Era.htm

სამგზის აია!

	ეპოქის ჯამი	ხანა	ს	ო	ვ	ბ	თ	მ	ფ	წ	დ	დქ	ქულ %
1	ემ*ვე*ტე*უ მოსკ	66-68	2	2	-	-	8	8	0	0	-	-	100.00
2	ვე*ვე*ა მონინო	69-90	22	9	5	4	468	340	39	88	1	4	76.39
3	სლავა მოსკ	75-90	16	2	4	2	415	263	35	117	-	2	67.35
4	ქუთაისი	79-90	12	3	1	1	321	178	20	123	-	-	58.57
5	ავიატორი შპრ	66-90	20	1	3	5	462	249	39	171	3	1	58.01
6	ფილი მოსკ	69-90	22	5	4	2	456	238	36	182	-	1	56.03
7	ლოკომოტივი მოსკ	74-90	17	1	1	1	417	202	27	187	1	1	51.80
8	ალმა ათა ყაზ	81-90	9	-	-	1	210	89	16	105	-	1	45.95
9	კრასნოიარსკი	77-90	13	1	1	1	307	133	15	159	-	-	45.77
10	ლოკომოტივი თბ	66-90	24	-	-	4	382	157	39	178	8	5	45.55
11	დინამო მოსკ	66-70	4	-	1	1	22	8	4	10	-	-	45.45
12	მ*ა*ი მოსკ	69-75	6	-	2	1	67	23	8	36	-	-	40.30
13	დინამო თბ	66-79	9	-	1	-	112	38	9	65	-	-	37.85
14	ლენინგრადი	66-88	18	-	1	1	286	77	18	191	-	-	30.07
15	კა*ბე*ი შპრ	76-90	7	-	-	-	105	28	2	75	-	-	27.62
16	ტირასპოლი მოლ	86-89	4	-	-	-	77	18	6	53	-	-	27.27
17	დინამო შპრ	69-72	4	-	-	-	35	6	7	22	-	-	27.14
18	ტაშკენტი უზბ	88-90	3	-	-	-	72	19	1	52	-	-	27.08
19	სპარტაკი მოსკ	69-89	12	-	-	-	152	33	16	103	-	-	26.97
20	ნალჩიკი	76-77	2	-	-	-	36	8	0	28	-	-	22.22
21	ხარკოვი შპრ	90	1	-	-	-	28	6	0	22	-	-	21.43
22	ლვოვი შპრ	81-90	7	-	-	-	94	19	1	73	1	1	20.21
23	ნოვოკუზნეცკი	90	1	-	-	-	28	4	1	23	-	-	16.07
24	ვილნ/კაუნასი ლიტ	69-84	3	-	-	-	29	3	0	25	1	1	8.62
25	შევარდენი	81-87	2	-	-	-	33	2	0	31	-	-	6.06
26	სტმ კრასნოიარსკი	90	1	-	-	-	28	1	0	27	-	-	3.57
27	ელმავალი	87	1	-	-	-	8	0	0	8	-	-	0.00

ს სეზონი ო ოქრო ვ ვერცხლი ბ ბრინჯაო დ დისკვალიფიკაცია დქ დაქვითული ქულა

რაგინდ უცნაურიც უნდა იყოს, საბჭოთა ხანაში, 1959 წელს, რეგბი (და არა რაგბი) საქართველოში რუსეთისგან დამოუკიდებლად, დისიდენტურად დაინერგა, მაგრამ 1962 წლიდან ჩვენები საკავშირო მარაქაში გაერივნენ და ასე გაგრძელდა 1991 წლამდე.

ამ 30 წლის განმავლობაში მეტწილად ორი, მოშუღარი, ქართული, ოღონდაც ინტერნაციონალურ სახელიანი, კლუბი ჩემპიონატსა და თასზე ასპარეზობდა, ქალაქის არა-რეგულარულ პირველობაზე მოცოდვილე სტუდენტური გუნდები კი მათ კადრებს უზრდიდნენ.

საკავშირო ასპარეზზე გამწესებული ქართული გუნდები თავიდან მხოლოდ თბილისისანი იყვნენ. ერთმა, ლოკომოტივმა, უკლებლივ ყველა სეზონი ელიტაში გაატარა (ამით სსრკ მასშტაბით რეკორდსმენია!), ბევრი სიმწარეც გამოცადა, ერთხელ მოიგო თასი და ოთხჯერ შეწვდა ბრინჯაოს, ბოლოს კი, გაგანია პერესტროიკის (გარდაქმნა) და ღლასნოსწის (საჯაროობა) ჟამს, თვითმფრინავის სკანდალს კინაღამ გადააყოლეს აქაურმა პარტიულებმა.

მეორე კლუბი, დინამო, უფროსობამ დაითხოვა, როგორც არა-ოლიმპიური სახეობის წარმომადგენელი და გუნდიც პროფკავშირულ საზოგადოება განთიადში გადავიდა, რის გამოც ჯერ ივერია დაერქვა, ბოლოს კი ელვა. მერე ეს შეცვალა სასოფლოს კლუბმა, ვინც კოლმეურნეობით კი დაიწყო, მაგრამ მალევე შევარდნად იქცა და შარში გახვევის სიხშირით ლოკომოტივს არ ჩამორჩა.

ამასობაში ქუთაისში წამოიჩიტა დე*ეს*კა, რომელსაც სახლმ-მშენებელი კომბინატი პატრონობდა. რიონის პირად ქართული რაგბის ნაღები მოგროვდნენ. ადგილზეც ძაან მაგარი ახალი თაობა გაიზარდა. ჰოდა, საბჭოთა ხანის დაისზე აიამ (ეს სახელი ოფიციალურად 1989 წელსღა ეწოდა), დუგლას კავთელაშვილის ხელმძღვანელობით, სამი ოქრო და ორიც თასი მოიგო,

სსრკ ნაკრები პირველად 1974 წელს შეიკრიბა, ევროპულ შეჯიბრებებში კი ორი წლის შემდეგ ჩაება. რუსები ეპიზოდურად საქართველოშიც მართავდნენ საშინაო მატჩებს (სტუმრობა აიას ზეობის ხანაში გახშირდა), მაგრამ მათ კომპანიაში თითოოროლა, გამორჩეული ჩვენებური თუ მოხვდებოდა ხოლმე. მათი ნაწილი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გახდა და ფირას პირველობის ვერცხლ-ბრინჯაოც შეირგო, რაც იმ საზღვარჩაკეტილსა და შოვინისტურ ქვეყანაში მართლაც რომ დიდი მიღწევა იყო.

სსრკ ჩემპიონატი

წელი	№	ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო
1966	1	ემ*ვე*ტე*უ	დინ(თბ)	დინ(მ)
1968	2	ემ*ვე*ტე*უ	დინ(მ)	ლოკ(თბ)
1969	3	ვე*ვე*ა	ფილი	მ*ა*ი
1970	4	ფილი	მ*ა*ი	ვე*ვე*ა
1971	5	ვე*ვე*ა	მ*ა*ი	ბურევ(ლ)
1972	6	ფილი	ვე*ვე*ა	ლოკ(თბ)
1973	7	ფილი	ბურევ(ლ)	ვე*ვე*ა
1974	8	ფილი	კიიგა	ვე*ვე*ა
1975	9	ფილი	კიიგა	ლოკ(მ)
1976	10	ვე*ვე*ა	სლავა	კიიგა
1977	11	ვე*ვე*ა	სლავა	ფილი
1978	12	ავიატორი	ფილი	ლოკ(თბ)
1979	13	სლავა	ფილი	ვე*ვე*ა
1980	14	ვე*ვე*ა	ლოკ(მ)	სლავა
1981	15	ვე*ვე*ა	ავიატორი	ლოკ(თბ)
1982	16	სლავა	ვე*ვე*ა	ავიატორი
1983	17	ლოკ(მ)	ფილი	სლავა
1984	18	ვე*ვე*ა	ქუთაისი	ავიატორი
1985	19	ვე*ვე*ა	სლავა	ქუთაისი
1986	20	ვე*ვე*ა	სლავა	ფილი
1987	21	ქუთაისი	ვე*ვე*ა	ავიატორი
1988	22	ქუთაისი	კრასნ	ალმა ათა
1989	23	ქუთაისი	ვე*ვე*ა	კრასნ
1990	24	კრასნ	ვე*ვე*ა	ავიატორი

ემ*ვე*ტე*უ => ვე*ვე*ა კიიგა => ავიატორი

სსრკ თასი

წელი	№	მფლობელი	ფინალისტი	ანგარიში
1976	1	ვე*ვე*ა	ლოკ(თბ)	10:6
1977	2	ფილი	პრიმ(ლ)	7:0
1978	3	ლოკ(თბ)	სლავა	30:3
1979	4	ავიატორი	კა*პე*ი	24:0
1980	5	ვე*ვე*ა	ლოკ(მ)	19:6
1981	6	სლავა	ლოკ(მ)	9:6
1982	7	ავიატორი	ვე*ვე*ა	9:3
1983	8	ვე*ვე*ა	სლავა	12:3
1984	9	ავიატორი	სლავა	15:9
1985	10	სლავა	ლოკ(მ)	21:10
1986	11	ვე*ვე*ა	ლოკ(მ)	9:6
1987	12	ქუთაისი	ვე*ვე*ა	12:3
1988	13	ალმა ათა	სლავა	12:6
1989	14	სლავა	კრასნ	12:3
1990	15	ქუთაისი	ალმა ათა	13:10



ცხრიდან შვიდი

ანუ სამეზობლო ტესტების რიცხვით განჩხრეკა

მძლე, ძმური და ურღვევი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩვენი და რუსთა გზები გაიყარა. თუ უწინ სპორტ-საზოგადოებათა დონეზე ვპაექრობდით, ახლა ჭიდილი ეროვნულ ნაკრებებს შორის გაგვიჩაღებია. ამ ბუღრაობას უკვე 14-წლიანი ისტორია აქვს. მეტიც, ბედის ირონიისა და თუ სხვა რამ მიზეზთა გამო, საქართველო რაგბში რუსეთზე მეტჯერ არავის (!) შეხვედრია და ეგზომ დადებითი ბალანსიც არავისთან აქვს, რასაც დანახვა და დაფასება ჭირდება.

სამეზობლო ტესტის სტატისტიკა მრავლის მეტყველია. ცხრიდან შვიდ თამაშში მეტოქეებმა ლელო თანაბრად ან სულაც ვერ გაიტანეს, მაგრამ ამ მატჩებიდან ფრედ მხოლოდ ერთი დასრულდა. მატჩების ბარემ ნახევარშიც ლელო არ გასულა და იმ გუნდმა გაიმარჯვა, ვის კიკერსაც მეტი შანსი მიეცა და კარში ვიზავზე უკეთ ურტყა.

კიკერს შანსს გუნდი უქმნის. გუნდში პირველ ყოვლისა შერკინება იგულისხმება. აქედან გამოდის, რომ რუსები თუ აგრე დაბრიყვებული გვყავს, ეგ ქართველ მორკინალთა დამსახურებაა. მათგან გია ლაბაძის აქტივში მაქსიმუმზე ერთით ნაკლები, ექვსი გამარჯვებაა, მევლუდ მთიულიშვილს, ზურაბ მჭედლიშვილსა და ილია ზედგინიძეს ხუთ მოგებაში უდევთ წილი, კიდევ ოთხ ფორვარდს კი ოთხ-ოთხ ძლევაში მიუღია მონაწილეობა, რის შედეგადაც ბორჯღალოსანთა ოპტიმალური შერკინება ცალსახად დგინდება:

1 მევლუდ მთიულიშვილი, 2 აქვსენტი გიორგაძე, 3 ლევან ცაბაძე; 4 ვანო ნადირაძე, 5 ვიქტორ დიდებულიძე; 6 ზურაბ მჭედლიშვილი, 7 გია ლაბაძე, 8 ილია ზედგინიძე

უკანა ხაზში საქმე ასე სტაბილურად ვერა გვაქვს. პირველ ექვს გამარჯვებაში მონაწილეობდა 10 ნომერი პალიკო ჯიმშელაძე, ბოლო ექვსში კი უკანა ბეკი მახო ურჯუკაშვილი. ხუთ-ხუთი მოგება უწერიათ აქტივში თედო ზიბზიბაძესა და ბესიკ ხამაშურიძეს, ოთხი – 9 ნომერ ირაკლი აბუსერიძესა და მხოლოდ სამი უნივერსალ ვასილ კაცაძეს.

შევხედოთ საშაბათო რაზმს მოპოვებულ გამარჯვებათა ჭრილში. სულ პირველი, ათი წლის წინდელი მოგების მონაწილენი, ლაბო და პალიკო ერთწლიანი სალეგიონერო კატორღიდან დაგვიბრუნდნენ. ცხრა ყველაზე გამოცდილი მორკინალიდან მათ კაპიტანი ილო, აქვსენტი და გოდერძი შველიძე (3 მოგება) ემატებიან, რაც დიდი ძალაა.

ჯეელი მახო კვლავ მწყობრშია, უკანა ხაზის ლიდერია და კარიერის მწვერვალამდე ჯერაც ბევრი უკლია, მაგრამ ვაი, რომ მიზეზთა გამო გვაკლია თედო, ვინც აქამდე დაცვის დედაბოძი იყო.

ურჯუკაშვილის კიკერობით ორჯერ, მსოფლიო თასის შესარჩევ თამაშებში გაგვიმარჯვნია. პალიკომ სამ მოგებულ მატჩში ურტყა კარში და მახოსი არ იყოს, ერთხელ გუნდის ყველა ქულა პირადად მოინაგრა. ბოლო შეყრაზე, შარშან წინ, მესამე კრასნოდარულ ტესტში ვეტერანებს ახლებიც შეეწივნენ: ჩვენგან შვიდმა კაცმა თითო ბურთი გაიტანა, რამაც უჩვეულოდ იოლად გაგვამარჯვებინა.

ეს თამაში გამონაკლისი გამოდგა, თორემ მანამდე უკლებლივ ყველა რკენა უშეღავათო, საარა-

კოდ დრამატული ყოფილა. ბრძოლა ბოლო წუთამდე გრძელდებოდა და მერეღა ვლინდებოდა გამარჯვებული, რაკი სხვაობა ყოველ ჯერზე ერთ გარდასახულ ლელოზე ნაკლები იყო.

რა მოხდება ამჯერად, მაგის განჭვრეტა ძნელია, მაგრამ თუ პირვანდელი კანონზომიერება აღდგა, წაგებულს მარცხი ფრიად ემწარება.

დასასრულ, რამდენიმე ნომინაციის გამარჯვებულიც გამოვავლინოთ:

ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება, რა თქმა უნდა, იყო ის, რომელმაც 2003 წლის მსოფლიო თასზე გაგვიყვანა და დედაქალაქი შუაღამემდე ამხიარულა,

ყველაზე ძვირფასი ლელო კი ამავე მატჩში მთელი შერკინების ძალისხმევით ლევან „ლეონსიო“ ცაბაძემ შეიტანა.

ყველაზე ეშხიანი ლელო არჩილ ქავთარაშვილისაა. აწ უკვე ათი წლის (!) წინ მას უძღოდა თერნოვერი მოედნის ცენტრში, ბურთის დახვეწილი გათამაშება, მერაბ ბესელიას დაუვიწყარი გარღვევა და უგრძესი პასი.

ამავე მატჩში ნიკო „ბეირუთ“ იურინმა საკუთარი ნახევრიდან დაკრა სასწაული არეკნი, შარშანწინ კი ოთარ ბარკალაიამ ამავე ხერხით გააფორმა გამარჯვება.

ყველაზე გალდასაწყვეტი „ხაია“ უთუოდ ის იყო, დაღლილ პალიკოს რომ შეემთხვა ეროვნულზე, ფრედ დამთავრებული მატჩის წამატებულ დროში.

ყველაზე თამამად 1998 წელს გაისარჯა ჯერაც სკოლის მოწაფე მახო, ვინც წვიმაში ოთხი ჯარიმა შეაგდო.

ყველაზე კადნიერი კონტრ-იერიში ვასილ აბაშიძემ წამოიწყო პირველ კრასნოდარულ ომში და ოვალი ლაბაძეს გაატანა,

მესამე ყუბანურ ჯახში კი ირაკლი მაჩხანელმა გადაკიდებული ბურთი გამოაქცუნა და ხუთი მბოჭავის გაბითურებით ლელოში შეხტა.

ყველაზე სახიფათო აბრაგანი ზიბზიბაძემ მოხსნა 2002 წელს, მსოფლიო თასის შესარჩევის ბოლო მეოთხედში,

დაცვაში უმაგალითო სიმტკიცე კი ჩვენმა ბიჭებმა გამოჩინეს 1998 წელს, ლეგენდარულ „წვიმის მატჩში“, როცა 8-წუთიანი შტურმი მოიგერიეს და ბარემ 30-ჯერ დასცეს მომხვდური.

ფოტოზე: 1998 წლის კაპიტანი გია რაფავა ორი წლით ადრე გამართულ რკენაში

საქართველო – რუსეთი

1993 25.05 მთ სოპოტი (პოლ) **9:15 0-0**
3ს: ძაგნიძე " 0:3 0:6 0:9 3:9 3:12 / 6:12 6:15 9:15

1996 20.10 ეთ ეროვნული **29:20 3-1**
3ლ: ქავთარაშვილი, მოდებაძე, ნადირაძე; გ, 2ს: მაჩიტიძე; 2ა: მაჩიტიძე, იურინი " 3:0(2ა) 3:3(7) 6:3(13) 6:6(21) 11:6(25) 14:6(29) 14:9(32) 19:9(34) 19:12(39) 22:12(40ა) / 22:15(54) 22:20(64) 29:20(80+3)

1998 20.05 მთ ეროვნული **12: 6 0-0**
4ს: ურჯუკაშვილი " 0:3(6) 0:6(8) 3:6(26) 6:6(28) / 9:6(43) 12:6(51)

2001 4.03 ეთ კრასნოდარი **25:23 3-3**
3ლ: საჯარიმო (ზედგინიძე), ზედგინიძე, ლაბაძე; 2გ, 2ს: ჯიმშელაძე " 0:5(7) 3:5(21) 6:5(28) 6:12(31) 13:12(40) 13:15(40+) / 18:15(44) 18:18(59) 25:18(62) 25:23(80+)

2002 3.03 ეთ ეროვნული **12:12 0-0**
4ს: ჯიმშელაძე " 3:0(14) 3:3(19) 3:6(34) 6:6(38) / 6:9(47) 9:9(52) 9:12(70) 12:12(79) ბოლო (80+5)

2002 13.10 მთ ეროვნული **17:13 1-1**
ლ: ცაბაძე: 4ს: ურჯუკაშვილი " 0:3(2) 3:3(7) 6:3(21) 6:6(23ა) 6:13(29) 9:13(35) 14:13(39) / 17:13(60) ბოლო (80+1)

2003 8.03 ეთ კრასნოდარი **23:17 1-1**
ლ, 6ს: ჯიმშელაძე " 0:3(3) 3:3(8) 3:8(13) 6:8(22) 9:8(27) 9:11(30) 12:11(37) 12:14(39ა) / 15:14(54) 20:14(62) 20:17(68ა) 23:17(77)

2004 6.03 ეთ ლოკომოტივი **9: 3 0-0**
2ს: ჯიმშელაძე, ბარკალაია; ა: ჯიმშელაძე " 3:0(24ა) 6:0(38) ნახევარი (40+7) / 6:3(46) 9:3(80+2) ბოლო (80+4)

2004 20.11 ეთ კრასნოდარი **27:15 4-2**
4ლ: ხამაშურიძე, ზიბზიბაძე, მაჩხანელი, შველიძე; 2გ: ურჯუკაშვილი, კიკნაძე; ა: ბარკალაია" 7:0 (14) 7:5(20) 7:8(27) 12:8(32) ნახევარი (40+2) / 17:8(41) 24:8(50) 24:15(69) 27:15(80ა) ბოლო (80+4)

სულ: 9 თამაში

5 შინ, 3 გარეთ, 1 ნეიტრალურზე

7 გამარჯვება - 1 მარცხი, 1 ფრე

ქულა 163:124, ლელო 12-8

მთ მსოფლიო თასი, ეთ ერთა თასი

ბორჯღალოსანთა მონაგარი

1989–2005

74 თამაში

28 შინ, 36 გარეთ, 10 ნეიტრალურზე

43 გამარჯვება – 28 მარცხი, 3 ფრე

ქულა 1708:1459

ლელო 205–165

სულ (17 სეზონში) 165 ბორჯღალოსანი

90 ფორვარდი, 69 ბეკი და 6 უნივერსალი

ფორვარდებმა გაიტანეს 102, ხოლო ბეკებმა 103 ლელო

კაპიტნები (სულ თოთხმეტნი)

ილია ზედგინიძე 20 თამაში; ლევან ცაბაძე 12; დიმიტრი ობოლაძე და ზურაბ მჭედლიშვილი 11; ნუგზარ ძაგნიძე 7; ოლეგ ლიპარტელიანი 3; ვასილ კაცაძე და დავით ბოლღაშვილი 2; ალეკო ხვედელიძე, თამაზ ფხაკაძე, გია რაფავა, ვანო ნადირაძე, გია ლაბაძე და ბესიკ ხამაშურიძე – თითო

ღვაწლმოსილნი

პალიკო ჯიმშელაძე 44 ბორჯღალი (კეპი); მახო ურჯუკაშვილი, აქვსენტი გიორგაძე და ბესიკ ხამაშურიძე 39; ზურაბ მჭედლიშვილი 38; გია ლაბაძე და თედო ზიბზიბაძე 37; ილია ზედგინიძე 36; ვანო ნადირაძე და ვასილ კაცაძე 34; ლევან ცაბაძე და ვიქტორ დიდებულიძე 33; მევლუდ მთიულიშვილი და გოდერძი შველიძე 30

ქულა

პალიკო ჯიმშელაძე 263 (7ლ 48გ 41ს 3ა); მახო ურჯუკაშვილი 196 (9ლ 29გ 30ს ა); ნუგზარ ძაგნიძე 105 (3ლ 9გ 22ს 3ა); კახა მაჩიტიძე 63 (2ლ 10გ 7ს 4ა); შოთა მოდებაძე 62 (3ლ 4გ 13ს); ნიკო იურინი 53 (6ლ 4გ 3ს 2ა); ბობა კვინიხიძე 43 (ლ 7გ 8ს)

ლელო

ილია ზედგინიძე 12 (2 საჯარიმო); თედო ზიბზიბაძე 11; ლევან ცაბაძე და არჩილ ქავთარაშვილი 10; მახო ურჯუკაშვილი და ბესიკ ხამაშურიძე 9; აქვსენტი გიორგაძე, ვასილ კაცაძე და გია ლაბაძე 8; პალიკო ჯიმშელაძე და გოდერძი შველიძე 7; ნიკო იურინი, ბადრი ხეხელაშვილი და მამუკა გორგოძე 6

თუ „ევროპა 3“-ად მოვხვდით

შარშან, მარტში, 2007 წლის რაგბის მსოფლიო თასის პრეზიდენტი, ფრანგი ბერნარ ლაპასე და შპს მსოფლიო თასის თავმჯდომარე, ირლანდიელი დოქტორი სიდ მილარი მედიას პარიზში წარუდგნენ და ვებ ელისის თასის მეექვსე გათამაშების გამოწვლილვითი განრიგი წარუდგინეს.

20-გუნდა ტურნირი 44 დღეს გასტანს. 40-მატჩა პულური სტადია სექტემბერში მოთავდება, 8-მატჩა პლეი-ოფი კი ოქტომბერში გაიმართება. თამაშები 10 ფრანგულ ქალაქში მოეწყობა. ეგენი არიან:

სან დენი (სტად დე ფრანსი), პარიზი (პარკ დე პრენსი), მარსელი, ლიონი, სანტ ეტიენი, ტულუზი, მონპელიე, ბორდო, ნანტი და ლანსი. უელსი სამ მატჩს შინ, კარდიფში გამართავს, შოტლანდია კი ორს, ედინბურგში.

48 მატჩიდან 36 უიკენდზე (პარასკევი, შაბათი და კვირა) მოეწყობა. თამაშები ერთმანეთს არ გადაფარავს. ყველა ფრანგული ქალაქი და კარდიფი მინიმუმ სამ მატჩს უმასპინძლებს. უელსშივეა დანიშნული ის მეოთხედფინალი, რომელშიც ნაღდად გავა ფანთა გულის მპყრობელი, ახალი ზელანდიის ოლ ბლექსი.

ორი მეოთხედფინალი მარსელის ველოდრომზეა, ორივე ნახევარფინალი კი – სან დენის სტად დე ფრანსზე. იქვე გაიხსნება პირველობა და გაიმართება სათასო ფინალი.

საქართველო მსოფლიო თასის შერჩევაში 2006 წლის შემოდგომიდან ჩაებმება, ჯერჯერობით კი ერთა თასზე მორაგბე ბორჯღალოსნები უკეთესი სასტარტო პოზიციისა და განრიგის დასაბევებლად მეცადინეობენ.

თუ ძალთა თანაფარდობა წლის ბოლომდე რადიკალურად არ შეიცვალა და ბორჯღალოსნებმა 2006 წლის ნოემბერში, მეექვსე სტადიის „შინ და გარეთ“ რკენაში აჯობეს პორტუგალიას, მაშინ საქართველო ფინალურ სტადიაზე „ევროპა 3“-ად მოხვდება, დ პულში მიაკითხავს საფრანგეთსა და ირლანდიას, და ეთამაშება:

სამშაბათს, 11 სექტემბერს, ლიონში
სამხრეთ ამერიკას (არგენტინა)

შაბათს, 15 სექტემბერს, ბორდოში
ირლანდიას

ოთხშაბათს, 26 სექტემბერს, ლანსში
აფრიკა 1-ს (მაროკო ან ნამიბია)

და კვირას, 30 სექტემბერს, მარსელში
საფრანგეთს

იხილეთ ნახაზი ორი გვერდის შემდეგ

რაგბის VI მსოფლიო თასი

2007 წლის შემოდგომა: საფრანგეთი, უელსი, შოტლანდია

პულური სტადია: 7 – 30 სექტემბერი

მუღამიანი მატჩები

7/09	დ	საფრანგეთი – სამხ. ამერიკა (სან დენი)
14/09	ა	ინგლისი – სამხ. აფრიკა (სან დენი)
15/09	ბ	უელსი – ავსტრალია (კარდიფი)
21/09	დ	საფრანგეთი – ირლანდია (სან დენი)
23/09	გ	შოტლანდია – ახ. ზელანდია (ედინბურგი)

პლეი-ოფი: 6 – 20 ოქტომბერი

მეოთხედფინალი

6/10	ბ1 – ა2 (მარსელი), გ1 – დ2 (კარდიფი)
7/10	ა1 – ბ2 (მარსელი), დ1 – გ2 (სან დენი)

ნახევარფინალი

13/10	6 ოქტომბერს გამარჯვებულები (სან დენი)
14/10	7 ოქტომბერს გამარჯვებულები (სან დენი)

მესამე ადგილისთვის

19/10	ნახევარფინალში დამარცხებულები (პარიზი)

თასის ფინალი

20/10	ნახევარფინალში გამარჯვებულები (სან დენი)

სტრატეგიულ მოსაზრებათა გამო

რაგბის საერთაშორისო საბჭომ (IRB) 2007 წლის მსოფლიო თასის შესარჩევთა სისტემა ჯერ კიდევ შარშანწინ, ზაფხულში დაამტკიცა.

შეჯიბრი უწინდებურად ხუთ რეგიონში (ევროპა, აფრიკა, ამერიკა, აზია, ზღვისრეთი) იმართება და გამოავლენს ფინალის 12 მონაწილეს, რაღაი ბოლო მსოფლიო თასის რვავე მეოთხედფინალისტი საფრანგეთში თავიდანვე იყო დაპატიჟებული და პულებშიც ორორად განაწილებული.

შერჩევის პროცესი ტრადიციულად მრავალსაფეხუროვანია და ხარჯის შესამცირებლად მაქსიმალურადაა მორგებული არსებულ რეგიონულ შეჯიბრებებს. რაკი ევროპაში მონაწილე ყველაზე მეტია და ერთა თასიც შვიდ ლიგად თამაშდება, აქაურმა აპრ-მა სხვებზე ჩახლართული ფორმულა შეიმუშავა.

პროცესი 2004 წლის სექტემბერში დაიწყო, ბოლო ორ ფინალისტს კი 2007 წლის გაზაფხულზე აქეთ ევროპა – აფრიკა – ამერიკის და იქით ზღვისრეთი – აზიის რეპეშაჟი გამოავლენს.

მეორეობა პირველობას ჯობს

საქართველოსა და ერთა თასის სხვა მონაწილეებს შერჩევის სამი საწყისი რაუნდი არ ეხებათ. ვიდრე 24 არიფი ერთ რჩეულს გამოავლენდეს, აპრ-ის ელიტის ექვსი წევრი ჩვეულ ყაიდაზე, ორ წრედ, მიმოსვლით, ორი სეზონის განმავლობაში გაითამაშებს თასს და რაც მთავარია, გაარკვევს, თუ ვინ რომელი (მეოთხე თუ მეხუთე) რაუნდიდან ჩაებმება შერჩევაში და გადამწყვეტ მატჩს ვის მოედანზე გამართავს.

ბორჯღალოსნებმა ერთა თასის პირველი წრე ისე ძალუმად ჩაამთავრეს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მოწინავე სამეულში ხვდებიან, მაგრამ სტრატეგიულ მოსაზრებათა გამო, პირველობას მეორე (!) ადგილზე გასვლა უჯობთ, რაღაი შერჩევის ფორმულა IRB-ულად ვირეშმაკულია.

ვთქვათ და ერთა თასზე ადგილები ასე განაწილდა: რუმინეთი, საქართველო, პორტუგალია, რუსეთი, ჩეხეთი, უკრაინა.

მაშინ შესარჩევთა მეოთხე რაუნდში (სექტემბერი) შეწყვილდებიან:

რუსეთი – უკრაინა,

ჩეხეთი – მესამე რაუნდის გამარჯვებული (ესპანეთი ან გერმანია) და გაიმართება ორორი თამაში (შინ და გარეთ).

მეხუთე რაუნდში (ოქტომბერი) პულები ასე შედგება:

იტალია – პორტუგალია – რუსეთი და

რუმინეთი – საქართველო – ჩეხეთი/ესპანეთი/გერმანია.

სამი შანსი

აქ ტურნირები ერთ-წრიანია, ანუ მასპინძლობა არსებითი ხდება. ჩვენ ვიღებთ მეოთხე რაუნდიდან ამოსულს და ნაღდად ვუგებთ, ხოლო თუ რუმინეთშიც გავიმარჯვებთ, პირდაპირ გავდივართ მსოფლიო თასზე.

თუ რუმინეთში ვაგებთ, გვრჩება მეორე შანსი, ანუ მეექვსე რაუნდი (ნოემბერი), სადაც ვაჟკაცურად, ორჯერ (ჯერ გარეთ, მერე შინ) ვეთამაშებით პორტუგალიას (თუ არა და, რუსეთს) და თუ ჯამში ვიმარჯვებთ, კვლავ გავდივართ მსოფლიო თასზე.

თუ, ღმერთმა დაგვიფაროს, და აქაც ვაგებთ, გვეძლევა მესამე შანსიც: 2007 წლის გაზაფხულამდე შინ-და-გარეთ შებმებში უნდა გავასაღოთ ჯერ აფრიკის მეორე (ნამიბია/მაროკო), მერე კი ამერიკის მეოთხე (ურუგვაი/ჩილე/აშშ) გუნდიც.

სხვაფრივ, მაქამდეც კი შეიძლება ვერ მივაღწიოთ, თუ ერთა თასს მოვიგებთ (!), რადგან მაშინ მეხუთე რაუნდში ვღებულობთ რუმინეთს, გავდივართ ესპანეთში და აპრ-ში მოკალათებული ლათინური ლობი ცდას არ დააკლებს, რათა ორივე თამაში წავაგოთ და იქვე ჩავრჩეთ.


iRB
RUGBY WORLD CUP 2007
FRANCE
ფინალი
7 სექტ - 20 ოქტ 2007
დ
საფრ
ირლ
ს"ამერ
ევრ 3 *
აფრ 1
ა
ინგლ
სამხ.აფრ
სამოა
ამერ 3
ზღ"აზ
გ
ზელ
შოტლ
ევრ 1 *
ევრ 2 *
ე"ა"ა $
ბ
ავსტ
უელ
ფიჯი
ჩ"ამერ
აზ 1
რეპეშაჟი 2
2007 დამდეგი
შ და გ
ამერ 4
ვ 1
$ ე"ა"ა
რეპეშაჟი 1
2006 ბოლო - 2007 დამდეგი
შ და გ
აფრ 2
ე 2
ვ
ევრ 3
მე-6 რაუნდი
2006 ნოემ
შ და გ
ა 2
ბ 2
ევრ 1
ევრ 2
მე-5 რაუნდი
2006 ოქტ
იტალ
შ+გ
ემ 3
ა 1
ა
ემ 1
შ+გ
ემ 2
ბ 1
ბ
მე-4 რაუნდი
2006 სექტ
შ და გ
ემ 4
ემ 6
ა
შ და გ
პ 1
ემ 5
ბ
მე-3ბ რაუნდი
2006 მაისი
შ და გ
ა 1
ბ 1
პ
მე-3ა რაუნდი
2005 ოქტ - 2006 აპრ
ესპან
2შ+2გ
პოლონ
მოლდ
ა
ჰოლან
ანდორა
გერმ
2შ+2გ
ბელგ
ხორვ
ბ
სერბ
მალტა
ორი წრე (წელი)
საქარ
რუმინ
პორტ
ჩეხ
რუს
უკრ
ერთა თასი
2004 ნოემ - 2006 ივნ
გზამკვლევი
პირდაპირ გადის შემდეგ რაუნდში
ხელმოცარული გადის საშუალედო
ხვდება ფინალში ევრ № -ად
შ და გ შინ და გარეთ
შ+გ ნაწილი შინ, ნაწილი გარეთ
$ ფინალში ხვდება
" რეპეშაჟის გავლით

მარტივად ახსნილი რაგბი

გუნდი

გუნდიდან მოედანზე 15 კაცია. სათადარიგო შვიდია და ნებადართულია შვიდი შეცვლა. დასისხლიანებული მოთამაშე მოედნიდან უნდა გავიდეს და მანამ არ დაბრუნდეს, სანამ თავს არ მოიწესრიგებს.

დრო

თამაში ორ ტაიმად იმართება. თითოს ხანგრძლივობა 40 წუთია. ამას ემატება ტრავმათა, შეცვლათა და მსაჯთა თათბირის გამო გაცდენილი დრო. ერთი კია, ტაიმი არ თავდება გაგანია ბურთაობაში, საჯარიმო და თავისუფალ დარტყმებზე; სამაგიეროდ, დროის ამოწურვის შემდეგ პირველივე აუტი, შერკინება, 22-დან განახლება და ლელოს გარდასახვა ტაიმის ბოლოს მომასწავებელია.

ხეირის წესი

მსაჯობის მთავარი პრინციპი ხეირის (უპირატესობის) ამოქმედებაა. როცა ერთი გუნდი წესს არღვევს, მსაჯი უმალ კი არ სტვენს, არამედ მეტოქეს შეტევას აცლის და მხოლოდ მაშინ, როცა მართალი გუნდი ვეღარ ხეირობს, ნიშნავს ადრინდელი დარღვევის სარგო სასჯელს.

ქულები

ბურთის გატანა ხდება ოთხი ხერხით. ლელო 5 ქულად ფასობს. ამის შემდეგ გუნდი კარში ურტყამს გარდასახვას და თუ შეაგდო, კიდევ 2 ქულა ემატება.

გოლის გატანის სხვა ორი ხერხია საჯარიმო და არეკნი (თამაშის დროს ბურთის მიწაზე დაგდება და ფეხის მაშინ ამორტყმა, როცა ოვალი მიწიდან ხტება). ორივე 3 ქულად ფასობს.

ლელო გაიტანება მეტოქის ლელოში ბურთის დამიწებით. თუ გუნდი ბურთს თავის ლელოში დაამიწებს, მას ლელო დაცულად ეთვლება.

დარღვევები

ბურთის წინ გადაწოდება ან ხელიდან წინ დავარდნა ისჯება შერკინებით.

თამაშგარე (ოფსაიდი) ჯარიმაა. ღია თამაშში ოფსაიდშია ყველა შემტევი, ვინც კი ფეხის დარტყმის მომენტში თანაგუნდელი დამრტყმელის წინაა. ესენი ოფსაიდიდან ან თავად უნდა გავიდნენ, ან დამრტყმელმა გაიყვანოს, როცა წინ აირბენს და მათ გაუსწორდება.

სხვაგვარი თამაშგარე მოქმედებს ბოჭვაზე, რაქში (ძირს დებული ბურთისთვის ზეზეულად ბრძოლაში), მოლში (ბურთისთვის დგომელა ჭიდილში), შერკინებაში და დერეფანში.

ამისი არსი ისაა, რომ ვინც კი იმ მომენტში ბურთისთვის არ იბრძვის, მებრძოლ თავისიანთაგან ბოლოზე უკან უნდა დაიხიოს, დერეფანში კი შუა ხაზს სულაც 10 მეტრით დაშორდეს.

ურჯუკობისთვის (ზღვარგადასული სიხისტე) და წესების ზედიზედ დარღვევისთვის (პროფესიული ფოლი) დამნაშავეს მსაჯი უჩვენებს ყვითელ ბარათს და გააძევებს ათი წუთით (სინბინი).

სადაო ბურთი

დერეფანსა და შერკინებაში ბურთი შუაში უნდა მოაწოდონ. შერკინებაში აუცილებლად რვა კაცი უნდა ჩადგეს. დერეფანში ნებადართულია ბურთის მოსაგებად ამხტარი კაცისთვის ხელის შეშველება.

სამატჩო რაზმი

ფორვარდები	ბეკები
დამწყები 15-ეული	
1 მარცხენა ბურჯი	9 ჰავბეკი
2 კვაჭი (ჰუკერი)	10 პირველი პივოტი
3 მარჯვენა ბურჯი	11 მარცხენა ფრთა
4 მხტომელი	12 მეორე პივოტი
5 მხტომელი	13 შუამარბი
6 მარბიელი	14 მარჯვენა ფრთა
7 მღლეტელი	15 ფულბეკი
8 მარბიელი	
მარქაფა (სათადარიგონი)	
16 კვაჭი	20 ჰავბეკი
17 ბურჯი	21 შუა ბეკი (10 12 13)
18 მხტომელი	22 უკანა ბეკი (11 14 15)
19 მარბიელ-მღლეტელი	

თუ გაგანია თამაშში მეტოქე ბურთიანს დაიჭერს და წააქცევს (შებოჭავს!), ამან ბურთით უმალ უნდა ითამაშოს, თორემ დაჯარიმდება. მოიერიშე ყველაზე ხშირად ამ წესს არღვევს.

შემტევი გუნდი კიდევ ჯარიმდება გზის შეკვრისთვის (ბლოკირება; ანუ როცა მეტოქეს შენს გუნდელ ბურთიანთან არ მიუშვებ).

როცა ბურთი ჩაიხურება, ინიშნება შერკინება. ბურთს მასში აგდებს ის გუნდი, ვინც წინ მიიწევდა, მაგრამ თუ გუნდმა ბურთი მოლიდან ვერ გამოიტანა, შერკინებაში შესაგდებად ბურთი მეტოქეს გადაეცემა. იგივე ხდება მაშინაც, როცა გუნდი მოგებულ ბურთს შერკინებიდან მის მოტრიალებამდე ვერ გამოიტანს.

თუ ბურთი აუტში თამაშ-თამაშ გავიდა, დერეფანში მას მეტოქე მოაწვდის, მაგრამ თუ ბურთი კიდეზე ჯარიმიდან დაარტყეს, აწვდის ჯარიმის დამრტყმელი გუნდი. ეს მძლავრი საიერიშო ხერხია.

ხეირი ამ გუნდს

ლელო!

ფეხით თამაში

თუ ბურთი აუტში საკუთარი 22-მეტრა ხაზის უკნიდან, ან ჯარიმიდან დაარტყეს, დერეფანი დადგება იქ, სადაც ბურთი აუტში გავიდა, მაგრამ თუ ბურთი 22-ის გარედან დაარტყეს აუტში, იგი კიდეზე გადასვლამდე ჯერ მოედანში უნდა დავარდეს, თორემ დერეფანი დარტყმის ადგილის გასწვრივ მოეწყობა.

ტაქტიკა

რაგბში არ არსებობენ ცალკე თავდამსხმელები და ცალკე მცველები:

ყველა ერთად უტევს და იცავს თავს.

ყოველი სასტვენის მერე თამაშს იწყებენ ფორვარდები (მორკინალები).

ამათი მიზანია, პირდაპირი, ძალისმიერი მიძალებით ბურთი წინ წაწიონ და მოედნის მცირე უბანზე მიიზიდონ მეტოქის ჭარბი ძალა.

როცა კი ეს მოხდება, ჰავბეკი ბურთს მისცემს ბეკებს (უკანა ხაზელებს), რათა ამათ მოედნის ვრცელსა და გაუხშოებულ უბნებზე, უკან დამხევი დაცვის წინაშე, თავიანთი სიმარდის წყალობით, გამოიყენონ რიცხობრივი მეტობა.

ვიდრე ეს მოხდება, შემტევს ხშირად ზედიზედ უწევს მიძალება. ამას იერიშის ფაზა ჰქვია.

ყოველი ფაზის შემდეგ მოქმედებს ოფსაიდი, ხდება ტერიტორიის გამიჯვნა და ორივე გუნდი გადაჯგუფდება ხოლმე.

თუ დამცველი ამ დროს შემტევს ბურთს აართმევს, მაშ, თერნოვერი მომხდარა და დამცველს უკვე თავად შეეძლება შეტევა.

დაცვა ბოლო ფეხის გაყოლებაზე ხაზად ეწყობა. შემტევი მის გაჭრას ცდილობს, მისიანები კი მიყვებიან. ხშირად ბურთიანს პასი კონტაქტში, ნახევრად დაჭერილს უწევს. ამას ოფლოუდი ქვია.



საქართველოს ბორჯღალოსნები

№	სახელი და გვარი	კლუბი ქმქმანა	ასაკი	☸	ლ	გ-ს-ა	ქულა
ბეკები (უკანა ხაზი)							
ფულბეკი და ფრთები							
15	ოთარ ბარკალაია	ვპკ ანდორა	22	13		2-1-1	10
11	ბესიკ ხამაშურიძე	როვიგო იტა	29	39	9	(1 კაპ)	45
14	ირაკლი მაჩხანელი	ბეზიე სფრ	25	16	4		20
22	გიორგი შკინინი	ხულიგანა	23	4			
შუამარბები							
13	მახო ურჯუკაშვილი	კანი სფრ	26	39	9	29-30-1	196
12	ირაკლი გიორგაძე	ბურგუენი სფრ	24	14			
პივოტი							
10	პალიკო ჯიმშელაძე	ბობინი სფრ	31	44	7	48-41-3	263
21	თემურ სოხაძე	ვიერზონი სფრ	21	1			
ჰავბეკი							
9	ირაკლი აბუსერიძე	ორლეანი სფრ	29	29	4		20
20	ბიძინა სამხარაძე	ფარული რშმ	23	9			
ფორვარდები (შერკინება)							
პირველი ხაზი							
1	გოდერძი შველიძე	კლერმონი სფრ	28	30	7		35
2	აქვსენტი გიორგაძე	კასტრი სფრ	30	39	8		40
3	დავით ზერაქაშვილი	კლერმონი სფრ	23	6	1		5
16	გიორგი კუთარაშვილი	ეგზი სფრ	28	5			
17	ავთო კოპალიანი	მონტობანი სფრ	24	6	1		5
მეორე ხაზი							
4	ილია ზედგინიძე კაპ	ეგზი სფრ	29	36	12	(20 კაპ)	60
5	მამუკა გორგოძე	მონპელიე სფრ	22	15	6		30
18	ლევან დათუნაშვილი	ბორდო სფრ	23	5			
მესამე ხაზი							
6	გია ლაბაძე	ტულონი სფრ	33	37	8	(1 კაპ)	40
7	რატი ურუშაძე	ენისეი რშს	31	10	3		15
8	ბესო უდესიანი	შალონი სფრ	27	13	2		10
19	ზვიად მაისურაძე	ლოკომოტივი	26	8	1		5

მწვრთნელები მალხაზ ჭეიშვილი, დავით ჩავლეიშვილი, პაატა ნარიმანაშვილი

31/01 :::